ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95.95221193**
თარიღი:**29/04/2022**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 18 მარტის №17 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.

2.მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3.პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).

4.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - ზაზა დავითაძემ.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი